



ახალი საინჟინერო

26.03-01.04.2020

№10 (884) გარდაიქმნა 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

#დაჩქარებული



- ✓ ეთი თვის სტატისტიკის მიხედვით, Microsoft 365 პაკეტის აქტივობის მაჩვენებლის ინფორმაციაზე დაყრდნობით, Microsoft Teams-ში მომხმარებელთა ჯამური აქტივობაა 368 000.
- ✓ აპრილში შიდა აქტივობის მაჩვენებელი (ონლაინ შეხვედრები, გაკვეთილები, ჩეთი, მესიჯები და ა.შ.), მათგან დასაწყისთან შედარებით, გაზარდა 82 600%-ით;
- ✓ ზომავთ Teams-ით, ეთი თვის წინ, დღეში, მხოლოდ 750 აქტიური იუზერი სარგებლობდა;
- ✓ ამ დროის მონაცემებით, დღეში, 248 000 ადამიანი სარგებლობდა;
- ✓ Office 365-ში აქტიური იუზერების რაოდენობა - 483 000;
- ✓ ედვანსის აქტიური იუზერების რაოდენობა - 81 200;
- ✓ OneDrive-ის აქტიური იუზერების რაოდენობა - 93 000;
- ✓ Forms-ის აქტიური იუზერების რაოდენობა - 18 500.

ითანამშრომლეთ მშობელთან და ერთმანეთთან, დისტანციური სწავლება მხოლოდ მასწავლებლისა და სპეციალისტების ზავშვთან კომუნიკაციას არ გულისხმობს

როგორც ვიცით, გავრცელებული კორონავირუსის პრევენციისა და დამარცხების მიზნით, სკოლები სწავლა შეწყვეტილია, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არდადეგებია. იმისთვის, რომ მოსწავლეები სასწავლო შედეგებს არ ჩამორჩნენ, განათლების სამინისტრომ დისტანციური სწავლების ურორის დანერგვა დაიწყო. გუნდები, სისტემის სრულყოფილად ასევე რეალურად გაადასრულა გარკვეული პრობლემები უკავშირდება, რადგან ასევე ერთგვარად ჩვეული საგანმანათლებლო პროცესიდან მონაწილეობაზე გადასვლა კომპლექსური, ტექნოლოგიური და ინტერნეტის გარეშე, სულ მცირე, გამოცდილებასა და რისკებს მოითხოვს. სამინისტრომ მათხიმალური მოხილევებით ძენის რისკებს, დისტანციური სწავლების პლატფორმას და მონაწილეთა შორის ნელ-ნელა ერთმანეთს მასწავლებლები და მოსწავლეები. გუნდები, პროცესს ხარვეზები ახლავს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ის დიდია. როგორ მიმდინარეობს პროცესი, ეს თემა ხშირად მოეხილება ჩვენი ინტერნეტის ძველ, თუმცა, ამჟამად, ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე – როგორ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (სსმ) ჩართვის ხელშეწყობა დისტანციური სწავლების რეჟიმში. რა გეგმა აქვს სამინისტროს ამ მიმართულებით, ამის შესახებ გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს, მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი თამარ ისაკაძე.



– ქალბატონო თამარ, დისტანციური სწავლების ფორმატი ითვალისწინებს თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებას, რა გეგმა შეიმუშავა ამ მიმართულებით სამინისტრომ?

– სამინისტროს ხედვა ასეთია: საგნის მასწავლებელი, როდესაც ახორციელებს დისტანციურ სწავლებას, სხვადასხვა ფორმით, იქნება ეს ონლაინ ჩართვა, დავალებების მიცემა, ახალი მასალის ახსნა თუ სხვა, ამ პროცესში ჩვეულებრივ უნდა ჩართოს სსმ მოსწავლე. თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარი პირობის გათვალისწინებით – საგნის მასწავლებელმა, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მოახდინოს დისკრიმინაცია დავალებების მიცემის თუ ახსნის პროცესში და სსმ მოსწავლეს, ასევე, მის საჭიროებებზე მორგებული დავალება უნდა მისცეს.

მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა, მშობელმა, სპეციალურმა მასწავლებელმა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულმა სკოლის სხვა სპეციალისტებმა, ერთობლივად განახორციელონ თითოეული სსმ მოსწავლის გადაფასება იმ მიმართულებით, რომ შეიმუშაონ სსმ მოსწავლეთა ჩართულობის გრაფიკი დისტანციური სწავლების რეჟიმზე, მაგალითად, აქ საჭირო იქნება მიზნების, აქტივობების, ხანგრძლივობის და ა.შ. ადაპტაცია, როგორც ეს ხდებოდა უშუალოდ სკოლაში სწავლის პირობებში.

რაც შეეხება სპეციალური მასწავლებლებების და ინკლუზიური განათლების სხვა სპეციალისტების მუშაობას, მათი მუშაობის ფორმატიც შეიცვალა. რა თქმა უნდა, მათი ჩართულობის გაზრდა პრიორიტეტულია, მათ უნდა მოახერხონ დისტანციურად მოსწავლეებთან ემოციური და სოციალური კავშირის შენარჩუნება და სსმ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობა.

როგორ უნდა იმუშაოს სპეციალურმა მასწავლებელმა დისტანციურად, ამისთვის შეიმუშავდა გარკვეული რეკომენდაციები:

◆ სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები ეხმარებიან სპეციალურ სწავლებას თითოეული სსმ მოსწავლისთვის აქტივობების დაგეგმვაში, რომლებსაც გადაუზღვნიან მოსწავლეებს. ეს აქტივობები უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან შერჩეული, შესაძლებელია, საგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობით, ახალი, მოკლევადიანი მიზნებისა და აქტივობების დაგეგმვა;

◆ ეფექტური იქნება, თუ სპეციალური მასწავლებლები დაიცავენ ბალანსს აკადემიური და კოგნიტური უნარების განმავითარებელი აქტივობების შერჩევისას, მაგალითად, დისტანციურად მონოდებულ დავალებებში გათვალისწინებული იქნება როგორც მათემატიკის, თხრობის, წერის, კითხვის და კოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობის, ასევე სახალისო, მოძრავი აქტივობებიც, ასევე აქტივობები, რომლებიც ცრას, ძერწვას და ა.შ. მოიცავს. შესაძლოა, დავალება იყოს გაკვეთილის თემის შესაბამისი ანიმაციის ნახვა და, იმის მიხედვით, ნახატის შექმნა, ასევე ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ძველი გამოუსადეგარი ნივთების სათამაშოების დამზადება და ა.შ.;

◆ სსმ მოსწავლეთა დისტანციური სწავლების ფორმატი მუშაობის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა და მოტივაცია, რათა ერთგვარი ასისტირება გაუწიონ მოსწავლეებს. ასევე, დავალების შესრულებისთვის, რა ტიპის დახმარება უნდა გაუწიოს მშობელმა (ასისტირება, ინსტრუქციის გამარტივება, დროის აკომოდაცია თუ ა.შ.), ეს სპეციალისტმა უნდა უთხრას, ამიტომ ფსიქოლოგების და სპეციალური მასწავლებლების როლი აქ ძალიან დიდია.

სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, პერიოდულად, უკავშირდებიან სპეციალურ მასწავლებლებს

და სთხოვენ უკუკავშირს, უნევენ კონსულტირებას.

– რამდენად შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ონლაინ გაკვეთილში ჩართვა და რა პრობლემები ახლავს, ძირითადად, ამ პროცესს?

– ამ შემთხვევაში, ყველაფერი არის ინდივიდუალური. აქამდე არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სკოლებს აქვთ კიდევ დისტანციური მუშაობის გარკვეული გამოცდილება იმ სსმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომლებიც შინ სწავლებაზე იყვნენ ან, საჭიროებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური გრაფიკით დადიოდნენ სკოლაში. თუმცა, არსებობს გამოწვევები, რომლებიც გაქვეყნებას და ბევრ მუშაობას მოითხოვს:

მიმე და ღრმა ინტელექტუალური განვითარების დარღვევის შემთხვევაში, დავალებების ადაპტირება სწორედ სპეციალური მასწავლებლის კონსულტირების შედეგად უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში, განვითარებაზე შედეგი მოაქვს სწორედ უშუალო შეხებას, ფიზიკურ ჩარევას, სენსორულ და ტაქტილურ მასალებს, პირისპირ კომუნიკაციას, მიბაძვით სწავლებას და სხვ., რაც ონლაინ ფორმატში შეუძლებელია. თუმცა, ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის ვიზუალური და სმენითი გადაცემის კარგი შესაძლებლობაა, ამიტომ გამოწვევაა სწორი დაგეგმვა – რამდენი ხანი ჩაერთვება მასწავლებელი, რა ტიპის დავალებას შესთავაზებს, როგორ შეძლებს მისი ყურადღების მოზილიზებას. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა კონსულტირებას, რომ მათ უზრუნველყონ ბავშვებისთვის შესაბამისი აქტივობები და რესურსები.

დისტანციური სწავლების პირობებში, დავალებების ელექტრონული ფორმატით გადაგზავნა ხდება. ამიტომ, აქ, უფრო მეტად, ტექნიკური პრობლემები იჩენს თავს. მაგალითად, დავალების ამობეჭდვა, კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა. საქართველოში ყველა ოჯახს არ აქვს ეს შესაძლებლობა, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, დავალების მიცემა აუცილებლად უნდა განხორციელდეს ოჯახში არსებული პირობებისა და რესურსების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ოჯახს არ აქვს კომპიუტერი, დავალების გადაგზავნა აზრს მოკლებულია. ამიტომ, ჯერ უნდა გამოვკითხოთ ბავშვი და ოჯახი, რა ტიპის რესურსები აქვს და იმის მიხედვით მივცეთ დავალება, ეს შესაძლოა იყოს, მაგალითად, თემზე: „მცენარეები“. კოლაჟის თუ ნახატის შექმნა, წერითი დავალების მიცემა. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავალების სწორად მიცემას, დავალების მიცემის პროცესში დახმარების სტრატეგიების შესახებ მშობლისთვის კონსულტაციის განვებას, რათა თავიდან ავირიდოთ მოსწავლის და ოჯახის იმედაცირება.

ზოგადად, მასწავლებლებს ბევრი აქვთ საფიქრალი იმაზე, თუ როგორ გავიდნენ შედეგებზე არა მხოლოდ სსმ მოსწავლესთან, არამედ ყველა მოსწავლესთან დისტანციური სწავლებისა და, მათ შორის, ონლაინ გაკვეთილების პირობებში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილის დაგეგმვა, მიზნები და აქტივობები უფრო მეტად იყოს მორგებული მის ფორმატზე.

– დისტანციური სწავლების კიდევ ერთი ახალი ფორმატი გაჩნდა „ტელესკოლის“ სახით, რამდენად ითვალისწინებს ეს პროექტი სსმ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს?

– საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმატი იქნება, რომელიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას მისცემს, ნახოს საინტერესო გაკვეთილები ყველა საგანში. ბუნებრივია, „ტელესკოლის“ გაკვეთილების დაგეგმვისას, სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციების საფუძველზე, სპეცია-

ლური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესიც არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გაკვეთილის თარგმნას შესტური ენის თარგმანი უზრუნველყოფს.

ტელეგაკვეთილების აუდიტორიის ნაწილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს წარმოადგენს, ისინი და მათი მშობლები დიდი ინტერესით და მონაწილეობით ელოდებიან გაკვეთილების ტელეეთერით დაწყებას, ზოგიერთ მათგანს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან და კომპიუტერთან, შესაბამისად, შესაძლოა, გარკვეული ნაწილი, ამ ეტაპზე, არ არის ჩართული ონლაინ გაკვეთილებში ან ჩართულია ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პირობებში და მასწავლებლისგან და სპეცმასწავლებლისგან, პერიოდულად, ლებულობს გადაგზავნილ ფაილებს, ამოცანებს, დავალებებს, საკითხავ მასალას და ა.შ. შესაბამისად, შესაძლოა, ისინი მოკლებულნი იყვნენ ინფორმაციის ზეპირ ახსნას, ამიტომ ეს პროექტი მათ ძალიან დაეხმარება ახალი მასალის ათვისებაში.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საჭიროებები ძალიან მრავალფეროვანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არის მოსწავლე, რომელსაც აქვს მხედველობის, სმენის, ინტელექტუალური, ფიზიკური, მეტყველების, კოგნიტური და სხვა პრობლემა. ტელესკოლის პროექტი, თავისებურებიდან გამომდინარე, დიდ დახმარებას გაუწევს უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეებსაც, რომლებიც გაკვეთილებს მოისმენენ, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილის პროცესში ნაჩვენები ვიდეო-გოლები, სურათები, თვალსაჩინო მასალები, პარალელურად, მასწავლებლის მიერ, ზეპირადაც იყოს ახსნილი (აუდიო აღწერა). სმენის დარღვევის შემთხვევაში, ყრუ მოსწავლეებისთვის გაკვეთილებს, პარალელურად, თარგმნის შესტური ენის თარგმანი.

ტელეპროექტი, ასევე, ძალიან სასარგებლო იქნება მიუსაფარი ბავშვებისთვის, რომლებიც ამ ეტაპზე დროის უმეტეს ნაწილს დღის ცენტრებში ატარებენ, ტელეეთერით გადაცემული გაკვეთილები, მათ დაეხმარება დაეწიონ პროგრამას. ასევე, ძალიან სასარგებლო გახდება ტელეპროექტი იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ უსინათლო პირობებშიდან გამომდინარე, სკოლას ხშირად აცდენდნენ და ამის გამო, მათ პროგრამული ჩამორჩენა აქვთ; მათთვის, რომელთაც ახასიათებთ სწავლის უნარის დარღვევა (დისლექსია, დისკალკულია), რადგან გაკვეთილების მეთოდოლოგია იქნება როგორც ზეპირი გადმოცემის, ისე თვალსაჩინო მასალების ჩვენებაზე მიმართული. ასე რომ, ტელესკოლის აუდიტორია საკმაოდ დიდია და მოსწავლეთა საჭიროებები კი – მრავალფეროვანი.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გაკვეთილების დაგეგმვის და გადაღების პროცესში ინტენსიურად არიან ჩართული ფსიქოლოგები და ისინი გასცემენ რეკომენდაციებს პროექტისთვის, რათა ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპი – განათლების ყველაასათვის მისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება, გაკვეთილის ჩაწერისას, სასარგებლო იქნება ყველა მოსწავლისთვის, ანუ ტიპური განვითარების მქონე ბავშვებსაც მოუტანს სარგებელს, რადგან ეყრდნობა ხარისხიანი განათლების ცნებას, რომელიც ინფორმაციის გადაცემის მრავალფეროვან მულტიმედია გულისხმობს. მასწავლებლებს ვაძლევთ რეკომენდაციებს, ტელეგაკვეთილებზე გამოიყენონ სხვადასხვა რესურსი, თვალსაჩინო მასალა, თემის შესაბამისი სახალისო აქტივობები, ძალიან გვინდა, რომ გაკვეთილები არ იყოს ლექციური ხასიათის, არამედ იყოს მრავალფეროვანი აქტივობებით გაჯერებული, მარტივი ენით გადმოცემული, მაგალითებით ახსნილი, პრაქტიკასთან დაკავშირებული და ა.შ.

დისტანციური სწავლება იქნა უზრუნველყოფილი განათლებით

ზოგადი რეკომენდაციები ონლაინ სწავლების უზრუნველყოფის დასაწყისში, სსსმ მოსწავლეების ჩართულობის გაზრდისთვის, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს:

- ⇒ ონლაინ სწავლების ფორმატში, მის მიხედვით, თუ რომელ პლატფორმას იყენებთ, გაითვალისწინეთ, რომ სსსმ მოსწავლის ჩართულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია;
- ⇒ თუ ის პლატფორმა, რომელსაც თქვენ იყენებთ, რთულ ინსტრუქციებს შეიცავს და მოსწავლეს, ამა თუ იმ საჭიროებიდან გამომდინარე, უჭირს მისი გამოყენება, გამოყავით დრო მასთან დისტანციურად ინდივიდუალური მეცადინეობისთვის. ამ შემთხვევაში, დაგჭირდებათ მშობელთან თანამშრომლობა, რათა მოსწავლემ მშობლის დახმარებით ისარგებლოს შესაბამისი, მისთვის ნაცნობი პლატფორმით;
- ⇒ ამოსავალი წერტილი, დისტანციური სწავლების პირობებში ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის, არის ის, რომ წინასწარ მოხდეს ბავშვის საჭიროებების შეფასება, თუ როგორია მისი კოგნიტიური, აკადემიური, მოტივაციური და ექსტრინსიკული უნარები და ამის მიხედვით ადაპტირდეს პროგრამის გამოყენების ფორმატი, იქნება ეს რაოდენობრივი თუ თვისობრივი აკომოდაცია. ყოველთვის გაითვალისწინეთ, რომ, ამ შემთხვევაში, რთულია პირდაპირი რეკომენდაციების მიცემა, რადგან ეს დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოთხოვნებზე. ამ პროცესში, თქვენ ძალიან გამოადგებათ ის გამოცდილება, რაც უკვე გაქვთ, თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში. შესაბამისად, გეგმებთან ინფორმაცია, თუ რა ტიპის აკომოდაცია სჭირდება მოსწავლეს გაკვეთილზე ჩართულობის დროს. მაგალითად, თუ თქვენ ინსტრუქციის აკომოდაციას ანიჭებდით უპირატესობას, აქაც იგივე დაგჭირდებათ, კომპიუტერული პროგრამის გამოყენებისთვის მოსწავლეს შესაძლოა მშობლის ასისტორიება დასჭირდეს, ინსტრუქციის გამოვლენა, ნაკითხულის სიტყვიერად გახმოვანება და სხვ.;
- ⇒ კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა, ინდივიდუალური მუშაობაც ეფექტიანი იყოს, ამ მიზნით, წინასწარ შეათანხმეთ ონლაინ ჩართვის დრო მშობელთან, წინასწარ დასახეთ გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობა, მოიმარაგეთ რესურსები ჩართვის პროცესისთვის – მაგალითად, თვალსაჩინო მასალები,

- ბი, ფოტოები ან უშუალოდ ნივთები, რის დემონსტრირებასაც კამერის საშუალებით მოახდენთ;
- ⇒ პირველი ორი ან სამი ჩართვა უფრო საპილოტე ხასიათის იქნება, სწავლების პარალელურად, აუცილებლად დააკვირდით პროცესს, არ იჩქაროთ, დააკვირდით ბავშვს, თუ გისმენთ, გიყურებთ, გამიფრთხილეთ საკითხი რამდენჯერმე, ჩართეთ დიალოგში, გამოიყენეთ ალტერნატიული კომუნიკაციის ფორმები, გამოიყენეთ უკუკავშირი;
- ⇒ მოამზადეთ მისთვის ადაპტირებული დავალებები, რომლებსაც გადაუგზავნით, დაუთქვით ვადა, როდისთვის უნდა მოამზადოს დავალება და შემდეგ, შეთანხმებისამებრ, ჩაიბარეთ წერილობით გადმოგზავნილი ან ზეპირად, ისევე კამერისა და მიკროფონის გამოყენებით;
- ⇒ არ იჩქაროთ, უშუალო კონტაქტის გარეშე კომუნიკაცია, შესაძლოა, იმ მხრივ იყოს რთული, რომ ბავშვს ყურადღება გაეფანტოს, ამიტომ მოკლე და მკაფიო ინსტრუქციები შესთავაზეთ მას, ნახალისეთ;
- ⇒ რეკომენდაციები, სსსმ მოსწავლესთან დისტანციური და ონლაინ მუშაობის მხრივ, შესაძლოა დაგვცოდნოდ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, მაგალითად, მცირე მხედველი მოსწავლისთვის, რა თქმა უნდა, შრიფტის გადიდება იქნება საჭირო, ნატიფი მოტივები და ვიზუალურ-სივრცითი სირთულეების მქონე მოსწავლესთან – დამატებითი დროის მიცემა, კლავიატურაზე ორიენტირებისთვის;
- ⇒ მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა ტიპის უნარებს მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობა და ამ მხრივ აღინეროს სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს უნარებია: ნატიფი მოტივობა, ვიზუალურ-სივრცითი უნარები, ალქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვ.;
- ⇒ კოგნიტიური უნარების შეფასებაში, რომლებიც უშუალოდ დისტანციურ სწავლებას ეხება, ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალური მასწავლებლის და ფსიქოლოგის ჩართულობა, სწორედ მათ უნდა შეაფასონ და ისგ-ს გუნდს მიანოდონ შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, კონკრეტულ მოსწავლეს-

- თან დისტანციური სწავლების რეჟიმის დროს რა ტიპის მხარდაჭერა დასჭირდებათ. შესაბამისად სპეციალურ მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, ასევე, დასჭირდებათ ონლაინ რამდენიმე ჩართვის განხორციელება მოსწავლესთან. ჩართვის პროცესში თქვენი ამოცანაა, დააკვირდეთ კამერასთან მყოფ მოსწავლეს, როგორ შემოდის თქვენთან ონლაინ კომუნიკაციაში, რა ტიპის სირთულეები და ძლიერი მხარეები ვლინდება ამ ახალი გამოწვევის დროს. დააკვირება ბუნებრივად უნდა წარმოართოს, ამიტომ მიეცით გარკვეული დავალება, წინასწარ მოამზადეთ აქტივობა. შემდეგ კი, თქვენი დაკვირვების შედეგების შესახებ გააკეთეთ ჩანაწერი. დაგეგმეთ შემდეგი ჩართვა, სადაც დამატებით დააკვირდებით იმ უნარებს, რაც პირველი ჩართვის დროს, შესაძლოა, გამოგჩრათ ან არ გამოვლინდა;
- ⇒ ონლაინ ჩართვა განხორციელეთ სსსმ მოსწავლესთან არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ მოსწავლეთა წყვილთა, მცირე და შედარებით დიდ ჯგუფთან, თავის თანაკლასელებთან. ზემოთ აქცენტი სსსმ მოსწავლესთან ინდივიდუალურ ჩართვაზე მხოლოდ იმდენი იყო გაკეთებული, რომ შესაძლებელია ეს, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, უფრო ეფექტური იყოს თავდაპირველ ან საჭიროებით განსაზღვრულ ეტაპებზე. ამის მიგნებაში ისევე გამოცდილებაა გაგზავნა, თუ რა სისხირით სარგებლობდა მოსწავლე სკოლის რესურსთაგან;
- ⇒ თანამშრომლეთ მშობელთან და ერთმანეთთან, დისტანციური სწავლება მხოლოდ მასწავლებლისა და სპეციალისტების ბავშვთან კომუნიკაციას არ გულისხმობს, აქ ეფექტურია მასწავლებლებს შორის დისტანციური ურთიერთობა ერთმანეთთან, ჯგუფური შეხვედრის დანიშვნა – ქიისების განხილვის მიზნით, მასწავლებლებისა და მშობლის მოსაზრებებისა და იდეების ერთმანეთთან გაზიარება, თუ რა წარმართა კარგად და რისი გაუმჯობესება საჭირო ბარიერების შესამცირებლად.

ესაუბრა ლალი ჯალაძე

სკოლის დირექტორები ონლაინ სწავლებაზე

ქართველი მასწავლებლები დისტანციური სწავლების პირისპირ

დისტანციური სწავლების ახალმა მოდელმა საბავშვო სკოლები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, განსაკუთრებით საჯარო სკოლები, რომლებიც ვეძებენ სიტუაციამდე ონლაინ სწავლების მეთოდს პრაქტიკაში თითქმის არ იყნაბდნენ. რამდენად მომზადებული შეხვდნენ მასწავლებლები ონლაინ სწავლებას, არიან თუ არა მოსწავლეები მზად კონკრეტული პროგრამის ელექტრონული მეთოდის გამოყენებით გასაგებლად, რამდენად გამართულია ონლაინ სწავლების ტექნიკური მხარე, რა პრობლემების წინაშე დგანან და რამდენად გაართმევენ თავს გლობალურ გამოწვევას ქართველი მასწავლებლები, რა სჭირდებათ მათ ყველაზე მეტად, დისტანციური სწავლების ხარისხიანად ჩატარებისთვის – გვესაუბრებიან 37-ი საჯარო სკოლის დირექტორი ლარისა მელაძე და 128-ი საჯარო სკოლის დირექტორი გულიკო სორბალაძე.



ლარისა მელაძე თბილისის N37 საჯარო სკოლის დირექტორი

- ◆ სსსმ ქალაქ თბილისის N37 საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელი დარეგისტრირდა პროგრამა Microsoft Teams-ში, დიდი ინტერესით გაეცნენ სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ინსტრუქციებს, რომლებიც საჭიროა აღნიშნულ პროგრამაში სამუშაოდ. ასევე, ყველა დამრიგებელმა ორგანიზებულად და სწრაფად მიანოდა ინფორმაცია მოსწავლეებს/მშობლებს, Microsoft Teams-ში რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების გავლის შესახებ. მასწავლებლები ინტენსიურად ადევნებენ თვალყურს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილ Facebook ჯგუფს, სადაც „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული ტექნოლოგიების ექსპერტებისა და სსსმ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) წარმომადგენლებისგან იღებენ რჩევებს Microsoft 365-ის სრულფასოვნად ასათვისებლად.
- ◆ ამ ეტაპისთვის დისტანციური სწავლება გარკვეული საჯარო სკოლებისთვის რთულია, რადგან ყველა მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა. ამ კატეგორიის მოსწავლეთათვის, მოგვსენებათ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და პირველი არხი ინყებს საგანმანათლებლო პროექტს „ტელესკოლა“, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეებისთვის ესგ-ით გათვალისწინებული ტელეგაკვეთილების ჩატარებას.
- ◆ დისტანციური სწავლების მეთოდი ვერ ჩაანაცვლებს საკლასო ოთახში ჩატარებულ გაკვეთილს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტუაციაში ეს მეთოდი საუკეთესო ვარიანტია, რადგან მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროცესში, რაც ამცირებს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენისა და გან-

- ვითარების შეფერხების რისკებს.
- ◆ პრაქტიკისა და ინსტრუქციების გაზიარების მიზნით, ჩვენს სკოლაში შეიქმნენ მასწავლებლები, რომელთაც დაევალით მცირე ჯგუფების (კოლეგების) კოორდინირება, მიმდინარე სიახლეების გაცნობისა და კონსულტირების თვალსაზრისით. შესაბამისად, ფასილიტაციის შედეგად, ყველა მასწავლებელს მიეცა შესაძლებლობა, შეიძინოს დისტანციური სწავლების საბაზისო უნარ-ჩვევები.
- ◆ პედაგოგების სწრაფვა სიახლეებისადმი, მოტივაცია და პასუხისმგებლობა მაფიქრებინებს, რომ ყოველი მასწავლებელი თავს გაართმევს დისტანციურ სწავლებას.
- ◆ მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, განსაკუთრებით კი, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლების, რადგან მათ არ აქვთ ის საჭირო უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრაციისთვის და ამ პლატფორმაზე სამუშაოდ.
- ◆ ახალი მეთოდით სწავლების ხარისხის გასაზრდელად აუცილებელია მშობლის როლის გაზრდა, მასწავლებელთა მაღალი მოტივაცია და მოსწავლეთა ჩართულობა.



გულიკო სორბალაძე თბილისის N128 საჯარო სკოლის დირექტორი

- ◆ ორი წელია, რაც სკოლის პრაქტიკაში აქტიურად ვიყენებთ ელექტრონულ ჟურნალს – „School book“. ჟურნალში მუშაობა შესაძლებელია მრავალი მიმართულებით: მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების ყოველდღიური ფიქსაცია, სამინაო და შემაჯამებელი დავალებები, პედაგოგიური კომენტარები და შეტყობინებები მშობლებისათვის, ადმინისტრირების გვერდი. ჩვენი თხოვნით, „იძულებითი არდადეგების“ პერიოდში, ჟურ-

- ნალს დაამატეს კიდევ ერთი პროგრამა – „დისტანციური გაკვეთილები“. ტესტირების რეჟიმში უკვე ჩაგატარეთ რამდენიმე გაკვეთილი. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა, მოსწავლეებთან კომუნიკაცია მაინც შეეძლებოდა. „School book“-ში მუშაობის გამოცდილება, ამ სიტუაციაში, კარგად წავგადა. დისტანციური მეთოდის დანერგვა ერთ-ერთი სწორი გამოსავალია, ამ პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელი მოერგოს ახალ რეალობას, შეისწავლოს შემოთავაზებული პლატფორმა, იმუშაოს საკუთარ თავზე და დაეფლოს ახალ უნარებს.
- რთულია, ასე სწრაფად მოახდინო რეაგირება და აითვისო ახალი მეთოდები, ყველაფერი მასწავლებლის მონდომებაზე დამოკიდებული. ჩვენ გვყავდა სკოლაში რამდენიმე მასწავლებელი, რომლებიც, სხვებთან შედარებით, ნაკლებად ფლობდნენ ტექნოლოგიურ უნარებს, თუმცა მათ მშვენივრად აუღეს ალლო და ექსტრემალურ სიტუაციაში შეძლეს დისტანციური გაკვეთილების ჩატარება. სკოლის მთავარი ძალა ურთიერთთანამშრომლობაშია, ამ მხრივ საქმე კარგად გვაქვს (6 მენტორი და 10 ნამყვანი სტატუსის მასწავლებელი გვყავს), რომლებიც უშურველად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას.
- რა თქმა უნდა, Teams-ის პლატფორმაშიც გაავრცელეთ მოსწავლეები. ასე რომ, ნელ-ნელა ვახდენთ ადაპტირებას.
- მართალია, ჩვენ შევძელით სკოლაში დისტანციური სწავლების განხორციელება, მაგრამ რა შედეგზე ვავალთ, ამ ეტაპზე, ამის თქმა, ალბათ, ძნელია.
- ◆ რა თქმა უნდა, გამოუვლელ მდგომარეობაში დისტანციური სწავლება ერთადერთი გამოსავალია. თუმცა, დისტანციურ სწავლებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები აქვს. დადებითზე უკვე მოვახსენეთ. უარყოფითია ის, რომ მოსწავლის სრულფასოვნად შეფასება დისტანციური სწავლების დროს, ვეჭვობ, შეუძლებელია. დისტანციური სწავლებისას დომინანტი უფრო მასწავლებელია. სწავლების ასეთი მეთოდის დროს სოციალური კავშირები, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. გაუმართავი ტექნიკური მხარე კი, ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.
- ◆ მასწავლებლები ყოველდღიურად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას. ძირითადად, ისე და ისევე, ტექნიკურ სირთულეებს ვაწყდებით, დაბალია ინტერნეტის მონოდების სისშირე. სამწუხაროდ, გვყავს მოსწავლეები, რომლებსაც არა თუ ინტერნეტი, კომპიუტერიც კი არ აქვთ.
- ვეჭვობ, ასეთ ბავშვებთან ცალკე მუშაობა მოგვიწევს. ამ ეტაპზე კი, დიდ დახმარებას გავგინევს საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“.
- ◆ დაწყებით საფეხურზე, დისტანციური სწავლებაში, მშობლები აქტიურად არიან ჩართული და ამით დიდ დახმარებას გვინვენ. მშობლების ჩართულობა ამ პროცესებში მართლაც უმნიშვნელოვანესია.
- ◆ ყველაზე მეტად გჭირდება დრო, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა, უფრო კარგად და ხარისხიანად დავეუფლოთ დისტანციური სწავლების მეთოდებს. ვისწავლოთ Teams-ის შესაძლებლობების სრულად გამოყენება. თქვენ იცით, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივით, სკოლებში მოხალისეები შემოვლენ, რომლებიც ტრენინგებს ჩაატარებენ, გვასწავლიან როგორ მოვიპოვოთ რესურსები და როგორ გამოვიყენოთ დისტანციურ სწავლებაში. იმედი, მალე ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება.

ესაუბრა მაკა ყიფინი

რაზიონი

დისტანციური სწავლების საჭიროებამ კელაბოები სულ სხვაბპარი გამოწვევების წინაშე დაბრუნა

მას შემდეგ, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესმა, საკლასო ოთახებიდან, ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა, ბევრი სკოლა (და არა მარტო რეგიონის) კონკრეტული პრობლემების პირისპირ აღმოჩნდა. ამ პრობლემების მოგვარებას ბევრად შეუწყობდა, დისტანციური სწავლების პარალელურად, „ტელესკოლის“ ამოქმედებამ. არის ისეთი რაიონებიც, პრობლემების მიუხედავად, ონლაინ სწავლებას აქტიურად რომ ასორციელებენ. მათ შორის ერთ-ერთი თერჯოლის მუნიციპალიტეტიც, სადაც წარმატებით გაართვის თავი ახალ გამოწვევებს და სირთულეების მიუხედავად, ონლაინ სწავლების რეჟიმში მუშაობენ.



მანია მელაშვილი
ნახშირელის საჯარო სკოლის პედაგოგი

მსოფლიოში არსებულმა რეალობამ და შექმნილმა სიტუაციამ განათლების სისტემა ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ყველანი უნებლიედ იძულებითი არდადეგების პირობებში აღმოვჩნდით, მაგრამ ყველაზე მძიმე სიტუაციიდანაც შეიძლება გამოსავალი მოიძებნოს. სწავლა-სწავლების უწყვეტი პროცესი ნამდვილად არ უნდა განწყვეტილიყო. ამისათვის თავდაპირველად, ინტერნეტის მეშვეობით, დახურულ ჯგუფებში ვმუშაობდით – თითოეულ კლასში შექმნილ მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ჯგუფებს ვანვდიდით ახალ საგაკვეთილო მასალას, საკვანძო კითხვებსა და დავალებებს, ვახორციელებდით უკუკავშირს. ამას დროულად დაემატა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მონოდეზიგნირებული და თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მხარდაჭერილი, Microsoft Teams-ის საგანმანათლებლო პროგრამა.

თავდაპირველად, ცოტა გავიჭირდა მისი წვდომა, მოსწავლეთა დარეგისტრირება, პროგრამის ფუნქციები გარკვევა, მაგრამ ეს რთული პროცესი, დღესდღეობით, უკან მოვიტოვეთ და დისტანციურ სწავლებაში ჩავაბით მოსწავლეთა 90%. ჩვენც ვსწავლობთ ახალი რეალობით და მოსწავლეებსაც ვასწავლით. ვგვგმათ ვაკვეთილებს, სამუშაო შეხვედრებს, ვიღებთ დავალებებს და ვახორციელებთ უკუკავშირს. რა თქმა უნდა, ეს სწავლების (ამ რთული სიტუაციიდან გამომდინარე) უაღრესად დადებითი მხარეა, მაგრამ თავისი ხარვეზებიც აქვს: კერძოდ გადატვირთულია ინტერნეტი, ხან ხმა წყდება, ხან – გამოსახულება. ყოველივე ეს სწავლების ხარისხზე აისახება, სრულად ვერ ხდება მოსწავლისთვის ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს მობილურით უკუკავშირდებით და ვანვდიდთ მასალას.

ამ მძიმე დროს დამხმარედ მოგვევლინა „ტელესკოლა“ – ჩვენს გაკვეთილებთან ერთად, „ტელესკოლის“ მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები თითქმის ავსებს საგანმანათლებლო სივრცეს, თუმცა ეს იდეალური ვარიანტი არ არის და შორსაა სწავლების ცოცხალ პროცესთან, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალია.

რა თქმა უნდა, გვაქვს პრობლემები, ვსწავლობთ და ერთმანეთს ვანვდიდთ ინფორმაციას Teams-ის ფუნქციების შესახებ (გვეხმარება ვიდეოგაკვეთილებიც, ჯგუფებიც). უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძობთ ჩვენი ქვეყნის, მოსწავლეებისა და მშობლების წინაშე, მნამს, რომ ამ ბრძოლაში ყველანი ერთად გავიმარჯვებთ.



ინეზა ზამბურაშვილი
ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

ღვანკითის საჯარო სკოლაში 153 მოსწავლე სწავლობს და 25 პედაგოგი ასწავლის. როგორც ვიცით, დისტანციური სწავლება მოითხოვს ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარ-ჩვევებს, რისთვისაც მასწავლებელთა უმრავლესობა მზად არ იყო, ძირითადი პრობლემა ინტერნეტთან წვდომა და ტექნოლოგიური აღჭურვილობაა. სამწუხაროდ, გვყავს ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ვერ ერთვებიან დისტანციური სწავლების პროცესში.

დისტანციური სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, Microsoft 365-ის პროგრამა Teams-ს, ახლახან შექმნილ Feedc edu, messejeri. მასწავლებლებმა მიიღეს პროგრამის გამოყენების გზამკვლევები, ვიდეოინსტრუქციები, სადაც დეტალურადაა ახსნილი პროგრამის შესაძლებლობები. კითხვების არსებობის შემთხვევაში, სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფი, მშობლებსაც კი შეუძლიათ დისტანციურად ჩაერთონ და ნახონ რას აკეთებენ

მათი შვილები. სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მშობლებს, დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის და Microsoft Office 365-ის სრულფასოვნად ათვისებისთვის, დახმარებას გვინვენი ტექნოლოგიების ექსპერტები და EMIS-ის წარმომადგენელი რაიონში თეა დოლაკიძე. დროული ინიციატივა იყო სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი „ტელესკოლა“, განსაკუთრებით ისეთი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა.

ჩვენი პედაგოგები დისტანციური სწავლების შესახებ: **ნინო გოგიაშვილი:** პირველკლასელთა ჩართულობა მაღალია ძალიან მოსწონთ! გაკვეთილების შემდეგ ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს. თითქმის ყველაფერი ნასწავლი გვაქვს. დავალებებსაც ასრულებენ და მიგზავნიან შესამოწმებლად. დღემთამა მშვიდობა მოგვცეს !!!

ქეთევან დაღუნაშვილი: მე, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ძალიან კარგად ვგრძობთ თავს თიმში, სისტემატურად ვაძლევ დავალებებს, ვუხსნი მათთვის გაუგებარ საკითხებს და მშვენივრად ვთანაწრობლობთ.



ინა კვატანი
სიქთარვას საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

მიმდინარე პერიოდი, დიდი პრობლემის პარალელურად, დიდი გამოცდაა თითოეული ჩვენგანისთვის. არავის ჰქონია მოლოდინი და, შესაბამისად, არც თადარიგი, მსოფლიოს პანდემიასთან ბრძოლის. ამ წარმოუდგენლად რთულ პერიოდში, როგორც არასდროს, ისე მეამაყება ჩემი ქვეყნის შვილობა, ვინაიდან ყველა სფეროში შესაშური მზაობაა, პასუხისმგებლობაა, ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ქვეყანას ამ განსაცდელში შეეხიდავს. სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში 102 მოსწავლე და 24 მასწავლებელია. ალბათ, პატარა სკოლაში უფრო იოლია, მართო სიტუაცია, ამიტომაც არ გამჭირვებია, ონლაინ სწავლებაში მასწავლებლებისა და მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილიყო ჩართული. მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებას ვიყენებთ, ყველა მასწავლებელი და მოსწავლე დარეგისტრირდა Microsoft Teams-ში, შექმნილია საგნობრივი ჯგუფები და მასწავლებლების ნაწილი ამ პროგრამით ახერხებს მოსწავლეებთან კომუნიკაციას. არააკადემიური, თუმცა ამ სიტუაციაში ძალიან მოხერხებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა facebook-ის დახურული ჯგუფები და მესენჯერის ჩატი, სადაც ინფორმაციები, დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები იცვლება, გამოიყენება ელფოსტაც, დამრიგებლებს სისტემატური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, ამა თუ იმ პრობლემაზე შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად. როგორ შეიძლება, 72 წლის მასწავლებელს ხედავდეთ, საკუთარ სახლში მათემატიკის გაკვეთილისთვის მოხერხებულად დაფას რომ იწყობს, მესენჯერის ჩატსაც მოხერხებულად იყენებს, თუ რომელიმე მოსწავლე „გაკვეთილს გაუცდენს“, აუცილებლად ტელეფონით გადაურეკავს, ამბავს მოიკითხავს, და არ იყო ყველაფერ ამით ბედნიერი და კმაყოფილი. სანამ ეს დამოკიდებულება გვაქვს საქმის მიმართ, ვერაფერი დაგვამარცხებს. მუშაობისას, მაქსიმალურად ვცდილობთ „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის დაცვას, რეკომენდაციების გათვალისწინებას, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი ხანგრძლივობითა და სისტემატურობით ჩავატარებთ ონლაინ გაკვეთილებს. რაც შეეხება განათლების სამინისტროს პროექტს „ტელესკოლა“, ამ მცირე დროში შექმნილი უმნიშვნელოვანესი რესურსია, საიდანაც მოსწავლე მხოლოდ საგნობრივ ცოდნას კი არა, უფრო მნიშვნელოვანს სწავლობს – გამოსავლის ძიებისას რამდენი და რამხელა კარგი საქმის კეთება შეუძლია ადამიანს. დისტანციურ სწავლებაში უმნიშვნელოვანესია და მშობლის როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა. ეს ყველაფერი რომ ჩაივლის, და იმედია, მალე ჩაივლის, იქნებ ეს დამოკიდებულებები, ეს მზაობა და პასუხისმგებლობა, ეს ჯანსაღი კომუნიკაცია ასეთად დარჩეს.



სოფიკო ვაშაკიძე
სიქთარვას საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

რაც შეეხება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას, 2013 წელს გავიარე ბრიტანეთის საბჭოსა და თბილისის მასწავლებელთა სახლის ერთობლივი პროექტის ტრენერთა ტრენინგი, სადაც მონვეული ჰყავდათ ბრიტანელი ტრენერი. აქედან იწყება ჩემი, როგორც პედაგოგის, ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით გაკვეთილების ჩატარება და ჩემი, როგორც ტრენერის, პირველი ნაბიჯები ამ ვირტუალურ სამყაროში. გადაწყვიტე, ტრენინგიდან მიღებული გამოცდილება, პირველ რიგში, ჩემს საგაკვეთილო პროცესში დამენერგა და შემდეგ გამეზიარებინა მიღებული გამოცდილება ჩემ მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე. აღნიშნულ გაკვეთილზე მონვეული მყავდა როგორც ადგილობრივი მასწავლებლები, ასევე ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები.

მე-7 კლასის მოსწავლეებმა დიდი პასუხისმგებლობითა და ინტერესით მიიღეს მათთვის ახალი გამოწვევა და აჩვენეს უფრო მეტი, ვიდრე ეს მანამდე წარმოემდგინა. საგაკვეთილო პროცესში არ გამოვიყენებია არც რვეული და არც კალამი, ფაქტობრივად, მათი სამუშაო ველი მხოლოდ კომპიუტერი იყო. შედეგმა მაშინ უკვე აჩვენა, რომ ინტერნეტი და კომპიუტერის სწორად გამოყენება დიდ შედეგს აჩვენებდა სწავლა-სწავლების პროცესში. თანდათანობით დავინყე სხვა შემსუფთვებულ კლასებში აღნიშნულის დანერგვა და დავალებების ვირტუალურად მიღება მოსწავლეებისგან. 2015 წელს კი განათლების სამინისტრომ შემოიტანა ონლაინ პროექტებით სწავლება eTwinning პორტალის საშუალებით. ეს პორტალი იმართება ბრიუსელის მიერ, სადაც ჩართულები არიან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სკოლები და მასწავლებლები. მე, როგორც იმ პერიოდისთვის ვირტუალურად სწავლების უკვე გამოცდილი პედაგოგი, აქტიურად ჩავები ამ პორტალზე და დავინყე ინგლისური ენის პროექტებით სწავლება. ჩემი სკოლა და მოსწავლეები აქტიურად მუშაობდნენ პროექტებში, დავიმეგობრეთ, ევროპის მასშტაბით, მოსწავლე-მასწავლებლები და ვმუშაობდით ერთ საერთო მიზანზე. ჩემი და ჩემი მოსწავლეების აქტიური ჩართულობით, ჩვენმა პროექტებმა ჯერ ეროვნული და შემდეგ ევროპის ჯილდო მიიღო. აღნიშნული წარმატების შედეგად მასწავლებელთა სახლმა მივლინებით გამაგზავნა პოლონეთში, საერთაშორისო კონფერენციაზე, ხოლო შემდეგ ამირჩიეს იტალიის ტრენერად და დღემდე აქტიურად ვარ ჩართული. ვეცნობი ახალ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, ვიყენებ მათ და ვუზიარებ როგორც მოსწავლეებს, ასევე კოლეგებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნული დღეს შექმნილ სიტუაციაში ძალიან დამეხმარა, ვირტუალურ სამყაროში თამამად მეშუავეა. ვატარებ როგორც გაკვეთილებს, ასევე ვესწრები და ვავდივარ ვებინარებს, ვიყენებ სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტებს, ვაზიარებ ეკრანს, თეთრ დაფას, რესურსებს. რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს დადებითი და უარყოფითი. ნაკლოვანებად შეიძლება ჩავთვალოთ ინტერნეტის ხარვეზი და მიუწვდომლობა, რაც, ფაქტობრივად, ხელს გვიშლის ონლაინ გაკვეთილის წარმართვაში.



ინა ქაჩიკაშვილი
ბარდუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

კორონავირუსი – ახალი ტვირთი გადაღლილი საზოგადოებისა, რომელმაც არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყანა მოიცვა, არამედ მსოფლიო. სამწუხაროდ, სამყარომ დაკარგა უამრავი ადამიანი. თითოეული, ალბათ, დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებით ვაფასებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას... „უხილავმა მტერმა“ ცოცხალი ქალაქები

კარგიონი

მკვდარ ქალაქებად აქცია, აქტიური ცხოვრება დაამდგორა, თითქოსდა შეწყდა სიცოცხლე დედამიწაზე. შიში გვაქვს ხვალინდელი დღისა... არ დაგვარგოთ რწმენა უფლისა! ფრაზა „დარჩი სახლში“ გახდა მონოდება თითოეული მოქალაქისათვის.

მე, როგორც ყველა პედაგოგი, ჩემს საქმეს დისტანციური სწავლების რეჟიმში ვასრულებ. საკმაოდ შედეგიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი, ჩართულია ყველა მოსწავლე. ვინც ვერ ერთვება „Teams“-ის პროგრამაში, ერთმანეთს messenger-ით ვუკავშირდებით. გაკვეთილთან დაკავშირებულ არც ერთ პასუხგაუცემელ შეკითხვას არ ვტოვებთ. ჩათში გადმოგზავნილ დავალებებს წინასწარ ვამომწმებ და შემდეგ, ბავშვებთან ერთად, განვიხილავ (ვახსენებთ რა იყო ხარვეზი და რა არა). შექმნილ სიტუაციაში ეს ფორმატი, ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალია, რათა მოსწავლეები პროგრესირდნენ. იმედი მაქვს, მალე დაფიქრდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს – არა მარტო საქართველო, მსოფლიო განაახლებს აქტიურ ცხოვრებას. მთავარია, კანონის დაცვით, მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ვაკეთოთ ჩვენი საქმე, რათა Covid 19-ის დამარცხების შემდეგ ერთად ვიზიემოთ გ ა მ ა რ ვ ე ბ ა. გისურვებთ ჯაბმრთელობას!



ელისო რობაქიძე
ალისუბნის თემის №2 საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შ

საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შედეგად სკოლები დაიკეტა, სწავლა კი დისტანციურად მიმდინარეობს. ალისუბნის თემის №2 საჯარო სკოლაში სწავლების ალტერნატიული საშუალებების მოძიება და ორგანიზება არდადეგების გამოცხადებისთანავე დაიწყო. თავიდან მასწავლებლები მოსწავლეებს „მესენჯერის“ მეშვეობით ვეკონტაქტობდით, რადგან მასწავლებელთა და მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს ფეისბუქგვერდი ჰქონდა შექმნილი და ეს დიდად არ გაგვიჭირებია. შექმნა საგნობრივი ჯგუფები, კლასების მიხედვით. დამრიგებლები სადამრიგებლო ჯგუფებში განიხილავდნენ ყველა იმ სა-

კითხს, რაც კლასს აწუხებდა ან სჭირდებოდა. ისინი ტელეფონით უკავშირდებიან მოსწავლეებს, მშობლებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ონლაინ ჩართვებში მონაწილეობას.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პლატფორმა „Teams“ საინტერესო და მრავალფეროვანია. თავიდან მასში შესვლა და მუშაობა ჭირდა, ახლა ნელ-ნელა ლავდება ყველაფერი. მოსწავლეებში Teams-მა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მათ იზიდავთ სიახლე და აქტიურად არიან ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების 80% აქტიურადაა ჩართული ონლაინ გაკვეთილებში, ისინი უპირობოდ აღნიშნავენ, რომ ურჩევნიათ გაკვეთილები სკოლაში ჩატარდნენ და პირობას იძლევიან, რომ უმიზეზოდ აღარასდროს გაცდენენ. ხოლო რაც შეეხება მოსწავლეების იმ 20%-ს, რომლებსაც არ აქვთ ინტერესი და არც ტექნოლოგიები, რითაც ონლაინ გაკვეთილში ჩაერთვებიან, დამრიგებლებმა მათ ტელესკოლის ცხრილი გააცნეს, რათა არ ჩამორჩნენ პროცესს და, პარალელურად, უნიშნავენ იმ დავალებებსა და გაკვეთილებს, რომლებიც მათ თანაკლასელებს აუხსნეს ინტერნეტის საშუალებით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)
მოამზადა ლალი თვალაბიშვილმა

წერილი მარნეულის კარანტინიდან

„მთავარია, ნაკლები ტკივილით დასრულდეს ეს ეტაკი“

ყველაფერი 23 მარტს დაიწყო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მარნეულსა და ბოლნისში ოფიციალურად გამოცხადდა კარანტინი, თორემ ჩემთვის კარანტინი თითქმის 2 კვირით ადრე დადგა.

გამარჯობა. მე, ნათია ტრაპაიძე ვარ, მარნეულში ვცხოვრობ და სოფელ სადახლოს №1 საჯარო სკოლაში ქართულ ენას ვასწავლი. მარნეულში ოთხი წლის წინ გადმოვედი საცხოვრებლად მე და ჩემი მეუღლე და ბევრი ნაცნობ-მეგობარი შევიძინეთ. მომწონს აქაურობა. მარნეული მრავალენოვანი ქალაქია და ეს განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს მას. ჩვენ, აქ მაცხოვრებლებს, გვესმის ერთმანეთის, ვიზიარებთ ერთმანეთის სიხარულსა თუ ტკივილს, ვაფასებთ და პატივს ვცემთ ერთმანეთს. იცით, ყველაზე მეტად რა მოცულობისაა ბაზარი. ბაზარში, სადაც ხშირად სოფლიდან ჩამოსული, ენის არმცოდნე ადამიანი, ხშირად გადაწყვიტავს ან გლეხი შემხვედბა, არასოდეს არავინ მატყუებს, პირიქით, ღიმილით ამბობენ ნაყიდ ხილს თუ ბოსტნულს, ალალი იყოსო.

ნოვრუზ-ბაირამზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას, ძალიან ლამაზი დღესასწაულია და მეზობლები თუ მეგობრები ტრადიციულ აზერბაიჯანულ ნუგბარს უშურველად მჩუქნიან ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ჩემი აღდგომაც ახარებს მათ. ჩვენ ვგახსოვს ერთმანეთის დღესასწაულები.

ორ მარტს უკვე სკოლაში აღარ წავსულვართ. მართალი რომ ვთქვა, გამიხარდა ნაადრევად არდადეგება, დამლელი წელი მქონდა და დასვენებას ველოდი. მალე მივხვდი, რომ ეს არ იყო ნაწარმი დასვენება. პირიქით, ეს იყო ფორიატი, გაურკვევლობის მოლოდინი და შიში. სასწრაფოდ ვიყიდეთ სურსათი და როცა ვერ ცერთ აფთიაქში ვერ ვიპოვე პირბადე და სადენინფექციო ხსნარი, სახლშივე გასვლა ავუკრძალე საკუთარ თავს. დავჯექი კომპიუტერთან და ბინტის პირბადეების შეკერვა ვისწავლე. ეს იყო ძალიან სასაცილო პროცესი, რადგან ნემსი ცხოვრებაში, მგონი, მესამედ მეჭირა ხელში. შევკერე სამი ცალი პირბადე და მგონა, რომ ომი მოვიგე. მალე ყველაწარმო ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. არსად წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ რომ დამეპირებინა, ვეღარ წავიდოდი. ქართულის მასწავლებლები, ვინც ჩემსავით ჩამოსულია, ყველა გავიდა ქალაქიდან. დავრჩით მე და ჩემი მეუღლე და ერთი კოლეგა, რომელმაც გალში დაბრუნება ვერ მოასწრო, მაგრამ სიფრთხილის გამო, ვერ ვნახულობთ ერთმანეთს. გაჩუმდა ჩემი ხმაურიანი ეზო და ნელ-ნელა ბავშვები გაქრნენ. აღარავინ მეძახის ნათია მასა, აივანზე ბურთი გადმოგვივარდა და მოგვეციო (პირველ სართულზე ვცხოვრობთ). ერთხელ, კიბეებზე ხმაური გავიგონე და ფანჯრიდან გაიხივდა, ჯერ ერთი მეზობელი გამოვიდა და დაჯდა პარკში, 2 წუთის შემდეგ – მეორე. ისხდნენ შორი-შორს მეზობლის ასაკოვანი ქალები, სახეზე აფარებული შარფებით, მზეს ეფიცებოდნენ და არც ლაპარაკობდნენ.

ჯერ არ იყო კარანტინი გამოცხადებული, მაგრამ ჩვენ უკვე გვემინოდა.

21 მარტს ნოვრუზ ბაირამი იყო და სრულიად უხმაურად ჩაიარა ყველაფერმა. მგონი საერთოდ არაფერი არ ხდებოდა ქალაქში, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ეზოში.

22 მარტს გავიგეთ, რომ მარნეულში შიდა გავრცელება დაიწყო ვირუსმა და ძალიან ბევრ ადამიანს შეიძლება ჰქონოდა. უკვე მივხვდი, რომ აუცილებლად გამოცხადდებოდა კარანტინი. დედაჩემს დავურეკე და ვთხოვე არ ენერვიულა, არა და რა დაამშვიდებდა, როცა საველე საავადმყოფოს ხსნიდნენ აქ.

23 მარტს, შუალამისას, ოფიციალურად გამოცხადდა კარანტინი, რასაც მალევე საგანგებო სიტუაცია მოჰყვა. თუ პირიქით იყო, აღარ მახსოვს... ახლა კვირაში ერთხელ მე გავდივარ გარეთ და ერთხელ – გიორგი, პირადობის მოწმობით და საღამოს ცხრა საათამდე. იმ დღეს სპარში რომ წავედი, შვიდი საათი იყო, პატარა რიგშიც მომიწია დგომა და მაღაზიიდან გამოსვლისას, ვნახე რომ ბინდებოდა. არც ერთი ადამიანი არ შემხვედრია გზად, არც ძალი. პოლიციის მანქანამ გამოიარა ერთხელ. სახლში მოსულმა ვნახე, რომ ვაშლის ყიდვა დამეინყებოდა. ვაშლი ჩემი სახლის წინაც იყიდება და წასვლა გადავწყვიტე. პირბადე უკვე მოხსნილი მქონდა, ვეღარ გავიკეთებდი გამოუხარშავად, ამიტომ შარფით ავიხვიე სახე და გავიქეცი. გზად გამახსენდა, რომ პირადობა დამრჩა, მაგრამ დაბრუნების დრო აღარ მქონდა. საჩქაროდ ვიყიდე ვაშლი და პოლიციის მანქანა თვალს რომ მიეფარა, სირბილით დაბრუნდი. რად მიხდოდა ვაშლი? იმ დღეს ხომ მაინც ვერ შევჭამდი? ახლად ნაყიდი ნებისმიერი რამ ორი დღე შემოსასვლელში დევს პარკით, მერე ვუტარებ დეზინფექციას და ვრეცხავ.

კარანტინის დროს ათის ნახევრამდე მინდა ვიძინო, მაგრამ არ მაძინებს მეზობელი, რომელიც ჩემ ზევით ცხოვრობს და ძალიან აქტიური ქალია. ადრინადად გადმოდგება აივანზე და თუ ვინმეს დაინახავს, ესალმება, ჯანმრთელობის ამბავს ეკითხება, არ შეგეშინდესო ეუბნება. ეჭვი მაქვს, ყველას არ იცნობს, მაგრამ მერე რა. ამასობაში ვინმე აუცილებლად გამოვა რომელიმე აივანზე და იწყება ჩაის სმა და მუსიკა.

კარანტინმა ბევრი რამ შეცვალა, ერთი რაც უცვლელი დარჩა, გაკვეთილებია. ყოველ დღე მივდივარ სკოლაში. გამოვდივარ საძინებლიდან, გამოვეწყობი, ვიკეთებ ბეჭედს, მაკიაჟს, პომადას ვისვამ, თუ ხასიათზე ვარ შარფსაც მოვივადებ და შევდივარ კლასში. დიახ, ნამდვილად კლასში შევდივარ, მაკეროსოფტ-თიმის კლასში. ბავშვებიც იქ არიან. ზოგი კი აგვიანებს, მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ დღეს ინტერნეტი აქვს და მოვიდა და ვინყვებთ გაკვეთილს. ერთი, მეორე, მესამე და ბოლოს ძალიან დაღლილი ვარ. საკუთარი თავის მივიკრივ, რამ დამალა ასე? თიმში მუშაობამ როგორ უნდა დამდალოს, თიმსამდე ხომ ვატსაფი მქონდა. ოო, ვატსაფი ჩემთვის იყო კომპარი, ნამდვილი კომპარი. ორ დღე სკოლაში ვმუშაობ და ბევრი მოს-



წავლე მყავს, ჯამში, ალბათ 170-180 მოსწავლე მყავს და ქართული ენა, მოგეხსენებათ, კვირაში ხუთი გაკვეთილი ტარდება (დისტანციურად – სამი) და ჩემი ტელეფონი მთელი დღე ხმაინობდა, მთელი დღე. მწერდნენ წერილებს, მიგზავნიდნენ ხმოვან შეტყობინებებს, ვიდეოებს და სურათებს. მე ნახევარ დღეზე მეტი მჭირდებოდა მათთვის პასუხის გასაცემად. ხან მეშლებოდა და სვეს პასუხს სხვას ვწერდი, ხან წერილები მეკარგებოდა ჯგუფებში, ხან, უბრალოდ დრო არ მყოფნიდა და ხან წერილები. მთელი დღე რაღაცას ვაკეთებდი და ვგრძნობდი, რომ გაკვეთილი არაფერი არ მქონდა.

ენის შესწავლა რთული, მაგრამ ცოცხალი და მეტად საინტერესო პროცესია და მხოლოდ ტელეფონით მიჭირდა ამ პროცესის კარგად წარმართვა. მერე გამოჩნდა თიმისი და პროცესი ნელ-ნელა დგება მწყობრში. ახლა გვაქვს განსაზღვრული საგაკვეთილო დრო, სამინაო დავალებისთვის განკუთვნილი სივრცე და რაც ყველაზე მთავარია, მთელი კლასი ერთდროულადაა ჩართული პროცესში. მარტო ბავშვები კი არა, მათი ოჯახის წევრებიც ხშირად არიან კომპიუტერის უკან მიმალული და ჩემს თვალტყვივან მოსწავლეს, ზოგჯერ, კარანახობენ სწორ პასუხებს. ზევით ინტერნეტი ვახსენე და წლების წინ, ბოლნისში რომ ვმუშაობდი, ინტერნეტი სკოლაშიც არ ვარგოდა, არა თუ სახლში. ახლაც რომ მსგავს ადგილას ვმუშაობდე, არც კი ვიცი რას ვიზამდი. ბევრი სოფელია ჩვენს ქვეყანაში ინტერნეტის გარეშე ან ცუდი ხარისხის ინტერნეტით. მე, უბრალოდ გამიმართლა.

დღეს 10 აპრილია, კარანტინის დანყები-

დან ორ კვირაზე მეტი გავიდა. მარნეულში არ აღმოჩნდა ბევრი ადამიანი ინფიცირებული და იმედი გვექონდა, რომ ქალაქს გახსნიდნენ და ჩვენც წასვლას ვფიქრობდით სააღდგომოდ. ორი დღის წინ დავურეკეთ მერიამი, იქ გვითხრეს, შეგიყვანთ წასვლის მსურველთა სიაში და დაგიკავშირდებით. დაგიკავშირდნენ. გიშვებთო, მაგრამ ჯერ ორი კვირა კარანტინში იქნებით სადმე და მერე წახვალთ სადაც გინდათ. მე და გიორგიმ დავინყეთ ფიქრი. მას წასვლა უნდა, მე – არა. მერე პრემიერმა თქვა, კარანტინის წესები უნდა გავამკაცროთ. ახლა ვფიქრობ, ამ ორ კვირაში ისე რომ გავამკაცრონ კარანტინი, რომ იქაც კარანტინში ვიყოთ? ან კარანტინში გადაყვანისას რომ დავინფიცირდეთ? ან გამოსვლისას და სოფელში ჩავიტანოთ ინფექცია? ამიტომ, წასვლას დარჩენა მიჯობს. ასე შედარებით მშვიდად ვარ.

დისტანციურ სწავლებას ბევრი ელექტრონული რესურსი სჭირდება, დიდი დრო მიაქვს ახლებურ გეგმებს და დავალებს უკუკავშირს. ამ სისტემას მეც ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვსწავლობ. ნაკლები დრო მაქვს ფიქრისთვის, შფოთვისთვის. მთავარია, ნაკლები ტკივილით დასრულდეს ეს ეტაკი და თუ მაისიდან ვერა, იქნებ ივნისიდან ახმაურდეს ჩემი ეზო, იქნებ ივნისიდან მაინც გადავიდეთ პირდაპირ სწავლებაზე.

ნათია ტრაპაიძე
არაქართულენოვანი სკოლების
მასწავლებელთა პროგრამის კონსულტანტი
მასწავლებელი
11.04. 2020.

დისტანციური სწავლება

მთავარი გამოწვევა ახალ გამოწვევაში

დღეს საგანმანათლებლო სისტემა ახალი რეალობისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა – სკოლები ჩვეული საგაკვეთილო პროცესის ჩანაცვლებას დისტანციური სწავლებით ცდილობენ. გუნებრივია, ობიექტური მიზეზების გამო, დისტანციური სწავლების ასე ნაჩქარევად დაწესებას ბევრი ხარვეზი და პრობლემა ახლავს. მეტიც, სავარაუდოდ, ხშირ შემთხვევაში, ონლაინმოდელი ვერ იმუშავებს იმ, სადაც, მინიმუმ, ინტერნეტზე წვდომა სერიოზული პრობლემაა. რა არის მთავარი გამოწვევა დისტანციური სწავლების დაწესებისას, რა ხარვეზების ფონზე უნდა მასწავლებლებს გააკეთდეს ონლაინრეჟიმში ჩატარება. ამის შესახებ გვესაუბრებიან გამოცდილი მასწავლებლები, რომლებმაც დისტანციურად სწავლება უკვე დაიწყეს. რესპონდენტი მასწავლებლები რეგიონებისა და თბილისის სკოლებს წარმოადგენენ, რადგან გვინდა, რეალურად დავინახოთ, თბილისის სკოლების ბარდა, რა შესაძლებლობები აქვთ რეგიონის სკოლებს, ან საერთოდ, აქვთ თუ არა ასეთი შესაძლებლობები. და მაინც, რა არის მთავარი გამოწვევა ახალ გამოწვევაში?



სათუნა გოგალაძე
ქიმიის დოქტორი,
ბრიტანულ-ქართული აკადემიის ბიოლოგიის მენტორი მასწავლებელი,
მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულის წევრი:

„დისტანციურ სწავლებასთან“ დეკავშირებით ჩვენმა სკოლამ ძალიან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. ერთ გუნდად იმუშავა ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა. დისტანციური სწავლების პლატფორმად გამოვიყენეთ google classroom, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, თითოეულმა მასწავლებელმა მიიღოს დავალება, მასწავლებლის რეკომენდაცია. აგრეთვე ადვილად შეესაძლებელია მშობლის ჩართულობა და უკუკავშირი სწავლა-სწავლების პროცესში. თუმცა Google classroom-ში მუშაობა გამოწვევა იყო ჩვენთვის, რადგან ამ პროცესში ყველა მასწავლებელსა თუ მოსწავლეს გუნდურ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ემუშავა. დისტანციური სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ერთი სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობა, ციფრული კომპეტენციების, სწავლების მეთოდური გამოცდილების გაზიარება და წამოჭრილ საკითხებზე სწრაფად კონსულტაციის მიღება. ამდენად, ჩვენ ადვილად გადავჭერით პირველი გამოწვევა, თუმცა მთავარი გამოწვევები მაინც აქტუალურია: რო-

გორ დაიგეგმოს სწავლების ფორმატი? როგორ ჩავრთოთ ყველა მოსწავლე ინტენსიურად? როგორ გავხადოთ ეს პროცესი მოსწავლისთვის სარგებელიანი, სწავლების მოქნილი გრაფიკით? ვინ გაუწევს ამ პროცესებს მონიტორინგს? როგორი უკუკავშირი იქნება მშობლების მხრიდან და ხომ არ შეგვეშლება ხელი ტექნიკურ ასპექტში? ვფიქრობ, რომ ეს გამოწვევები როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში მეტად აქტუალურია. ჩვენ ვცდილობთ გავუმკლავდეთ აღნიშნულ საკითხებს. თუმცა, დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება ამ პროცესების მართვას. სწავლების პროცესში სავსებით ონლაინკონსულტაციების განრიგის შედგენა დაგვეჭირდა. ონლაინკონსულტაციების დროს ხარვეზებმა იჩინა თავი, მათ შორის, ყველაზე მეტად ტექნიკურმა. მოსწავლეები მოტივირებულნი არიან, მოსწონთ სახელეუბნო შედეგები. თუმცა, ყველა მოსწავლე ვერ ახერხებს მასწავლებელთან ჩართვას, ამიტომ ჩემი რეკომენდაციაა – ონლაინკონსულტაციაზე დისკუსიის თემის მონახვის ან მასალის მიწოდება დანარჩენი მოსწავლეებისთვის, ვინც ვერ ახერხებს იმ

პროცესში ჩართვას. ჩემთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ ონლაინკონსულტაცია ინტერაქტიული არ გამოდის, მაინც ლექციურ ხასიათს ატარებს. მოსწავლეებს კი, ჯერჯერობით, არ აქვთ დისტანციური სწავლების გამოცდილება და, შესაბამისად, დისტანციური სწავლების უნარები. ვისურვებდი, ყველა დარგის პროფესიონალების მიერ შეიქმნას კონკრეტული მეთოდოლოგიური მასალები ესგ-ს მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა სკოლისთვის. მასწავლებლის როლი იქნებოდა მხოლოდ სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგი. ძალიან ბევრი დრო ეხარჯება მასწავლებელს – იყოს გამართული ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციები და მოამზადოს, ასწავლოს ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სახალისოდ, საინტერესოდ და მოქნილ გრაფიკზე მორგებულად. ამ ეტაპზე, ეს სიძნელეები იქნება, თუმცა მნიშვნელოვანია, დავინყოთ საუბარი ხარვეზებზე. ძირითადი გამოწვევა – ეს პროცესი ყველა მოსწავლისთვის იყოს ხელმისაწვდომი, სარგებელიანი და მიზნობრივი.



ეკა წულუპიძე
მისტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი
„ათეულის კლუბის წევრი“

„მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვემხრობით თუ არ ვემხრობით, მასწავლებლებს ახალ რეალობაში გვინებს ჩვენი წილი პასუხისმგებლობის აღება. მოსწავლეებს ჩვენი თანადგომა სჭირდებათ და ამას ჩვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობაც პირდაპირ გვაავალბებს. რეალური საკლასო ოთახებიდან დისტანციურ საკლასო ოთახებში გვინებს ჩვენს მოსწავლეებთან მისაღებება, კონკრეტული ინსტრუქციებისა და დავალებების მიცემა. არ არის ადვილი, მაღალმთიან სოფლებში გამართო დისტანციური სწავლება და ვახვიდე შედეგზე, მაგრამ, ცხადია, გულზე ხელდაკრეფილებიც ვერ ვისხდებით. მაღალმთიანი სოფლების პრობლემებს თუ გადავხედავთ, ასე გამოიყურება:
1) მოსწავლეთა ნაწილს არ აქვს კომპიუტერი;
2) სოფლებში არ არსებობს უწყვეტი ინტერნეტკავშირი;
3) ვისაც ხელი მიუწვდება ინტერნეტზე, ისიც ტელეფონით აზიარებს და მათ მეგაბაიტების შეძენა ძალიან ძვირი უჯდებათ, თანაც ასეთი ინტერნეტი უხარისხოა და ნელი;
4) მასწავლებლებს არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება დისტანციური სწავლების მიმართულებით, არ აქვთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების გამოცდილება;
5) მასწავლებელთა ნაწილს თავად არ აქვს კომპიუტერი.
როცა პრობლემების ნუსხა ასე გამოიყურება, ძნელია სკოლებს მოვთხოვოთ, რომ შედეგობა სრულფასოვნად ჩაატარონ გაკვეთილები. დისტანციური სწავლება აქტიურად რომ განვახორციელოთ, მხოლოდ სამი რამ გვჭირდება – კომპიუტერი, ინტერნეტი და მასწავლებელთა კომპეტენცია. მაღალმთიან სოფლებში, სადაც მოსწავლეთა 80% სიღარიბის ზღვარს მიღმაა და ოჯახის შემოსავლების ყოველი

თეთრი განაწილებული და გათვლილია, ვერ მოვთხოვთ, იყიდონ კომპიუტერი და ინტერნეტი, ამას ოჯახი ვერ შეძლებს. ამიტომ, ამ საკითხთან დეკავშირებით, მე ასეთი ხედვა მაქვს – თითოეულმა სკოლამ გააკეთოს აღრიცხვა და სახელმწიფომ, საჭიროებიდან გამოვძინარე, ან სკოლამ, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, საკუთარი სახსრებით შეიძინოს ლეპტოპები ან ტაბლეტები ინტერნეტ მოწყობილობით. ეს აღჭურვილობა, დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცეს მშობლებს იმ მიზნით, რომ ბავშვები მხოლოდ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ, შემდეგ ისევ სკოლას დაუბრუნდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან განათლების სამინისტრომ ყველა მოსწავლეს, თავის დროზე, აჩუქა ბუკები, ნესით, დანყებით კლასებში არ უნდა იყოს ამის პრობლემა, მაგრამ დღეს ეს მოწყობილობები გამოსულია მწყობრიდან, რადგან არავინ იყენებდა მათ დანიშნულებისამებრ, დაუდევრობამ გამოიყვანა მწყობრიდან. ამ საგანგებო სიტუაციის დროს შექმნილი კომპიუტერები დარჩება სკოლის ბაზაზე და როცა ეს ყველაფერი ჩამთავრდება, სკოლებს ექნებათ ძალიან მდიდარი ისტ ლაბორატორია და სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი გახდება ტექნოლოგიები. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი საკითხია პედაგოგებისთვის ონლაინ ტრენინგების ჩატარება, რაც სავსებით შესაძლებელია და მასწავლებლის სახლს ამის დიდი გამოცდილება აქვს. მომავალში სკოლას დარჩება გადაუმზადებელი კადრები და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი. მესამე თემა, რაც ვფიქრობ, ასევე საშური საქმეა, სამინისტროს ჰქონდეს სავსებით სიტუაციების მართვის სტრატეგია, დაეხმაროს სკოლებს, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლის სკოლებს, რადგან დიდთოვლობის დროს, შორი სოფლებიდან, მოსწავლეები კვირების განმავლობაში ვერ

ახერხებენ სკოლაში სიარულს და წყდებიან სასწავლო პროცესს, ამ სიტუაციაშიც კი ვერ ახერხებენ სკოლა მართოს პროცესი. ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლებმა შექმნან ისეთი რესურსი, რომ ნებისმიერი გადაუდებელი სიტუაციის დროს ყველა მოსწავლე იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში და, რაც მთავარია, ამას დისტანციურად ახერხებდეს. როგორ შევძელი მეპასუხა გამოწვევებისთვის? ვერ ვიტყვი, რომ საქმე იდეალურად მაქვს აწყობილი, ხელისშემშლელი მიზეზები აქაც ინტერნეტი და კომპიუტერული მოწყობილობების უქონლობაა. ამ ეტაპზე, ინტენსიურ რეჟიმში ვატარებ გაკვეთილებს მე-5, მე-7 და მე-12 კლასებში, კვირის ბოლომდე ვგეგმავ, დანარჩენი ორი კლასიც მოვიცვა. გაკვეთილის ჩასატარებლად, ამ ეტაპისთვის, საუკეთესო გამოსავლად მივიჩნევი ფეისბუქჯგუფი, სადაც გავანერვიანე მოსწავლეთა მშობლები. რა თქმა უნდა, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდუზარის მეშვეობით, ჩვენ ვახერხებთ პირდაპირ კომუნიკაციას, დისკუსიას, კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობას და კითხვას, პარალელურად, თითოეული კლასისთვის მაქვს one note-ინსტრუმენტი, სადაც ვათავსებ ყველა საჭირო რესურსს, დავალებებს, დავალების პირობებს, ვქმნი ტესტებს google forms ინსტრუმენტში, რაც მარტივად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და ინტერნეტიც ნაკლები სჭირდებათ. თუმცა, ამ კლასებში მყავს მოსწავლეები, რომლებიც ისეთ სოფლებში ცხოვრობენ, სადაც ინტერნეტს დაბალი სიჩქარე აქვს და ისინი ვერ ახერხებენ სრულფასოვან ჩართვას, ასეთი შემთხვევაში, წერილობით კომუნიკაციაზე გადავიდეთ. ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში მშობლების ჩართულობა, მათთან კომუნიკაცია და მათი მხარდაჭერა

დისტანციური სწავლა

დამეხმარა რიგ კლასებში ძალიან კარგ შედეგებზე გასვლაში. შედეგად, მოსწავლეები მუშაობენ, ჩვენ ვახერხებთ, ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად, დასახულ მიზნებზე გასვლას.

ლეებთან დისტანციური სწავლების პარალელურად უნდა განხორციელდეს. დღეს ის დროა, როცა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აილოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, იზრუნოს ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობაზე, სახელმწიფომ უნდა გაილოს რესურსი, მოხდეს მოსწავლეთა აღჭურვა ინტერნეტითა და კომპიუტერით, მასწავლებლების კი - კვალიფიკაციით, აქტიურად უნდა ჩატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი ტრე-

ნინგები მშობლებისა და მასწავლებლებისათვის, რომ ამ სიტუაციაში დავიცვათ ბავშვთა უფლებები და კიბერუსაფრთხოება, რადგან მოულოდნელად თავსდატეხილმა სიტუაციაში ბევრი დეტალი დატოვა უყურადღებოდ, მაგალითად, ფოტოებისა და ვიდეომასალის გასაჯაროება, მომრავლდა მოზარდების გახსნილი ფეისბუქგვერდები, რაც არანაკლებ საფრთხეს უქმნის ბავშვებს, ამიტომ ინტენსიურ რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ მოსწავლეთა კიბერუსაფრთხოებაზე."



ნათია კურტიანიძე ნოდარ ხადურის სახელობის გორის მინიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის გორის მე-9 საჯარო სკოლის დანაწესებითი საფეხურისა და ტექნოლოგიების მენტორი მასწავლებელი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ 2019 წლის ფინალური სუთელის წევრი

„დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ დამატებითი სირთულეები არა მარტო მასწავლებლებისთვის შექმნა. თუმცა, ჩემი სკოლის მაგალითზე რომ ვითხრათ, მეტი წილი კოლეგებისა მონდომებულა და უმეტესს აქვს მოტივაცია, შეუდგეს ამ ტიპის მუშაობას. დიახ, ნამდვილად არ ვიყავით მზად დისტანციური სწავლებისათვის. არ ვიყავით მზად იმისთვის, რომ ასე მცირე დროში და ფორსმაჟორულ სიტუაციაში შევდგომოდით ფრიად მნიშვნელოვან, ურთულეს საქმეს. თუმცა, დღეს მოცემულობა ასეთი და გულხელდაკრეფილი ვერ დავხვდებით. არ გვაქვს მოლოდინი და ილუზია იმისა, რომ ეს ძალზე პროდუქტიული ჩარევა იქნება, მაგრამ რაც შეგვიძლია, იმისთვის ძალდონეს არ დავიშურებთ. როგორც ცნობილია, ჩვენმა სამინისტრომ სკოლებს სამუშაოდ შესთავაზა Microsoft office 365-ის პლატფორმა, რომელიც ძალზე მოსახერხებელია. მასში გაერთიანებულია ბევრი საჭირო ინსტრუმენტი სრულფასოვანი სასწავლო პროცესის

წარმართვისთვის. მე პირადად, აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობის საკმაოდ დიდხანი გამოცდილება მაქვს და სწავლებაში აქტიურად ვიყენებ ონლაინ ინსტრუმენტს Teams. სწორედ ეს გამოცდილება მაძლევს საშუალებას, რომ კოლეგებს ტექნიკურად დავეხმარო. ყველაზე მთავარი - ინტერნეტის პრობლემა, როგორც ბევრ ადგილას, ჩვენთანაც არსებობს. ხშირ შემთხვევაში, ვიყენებთ მობილურ ინტერნეტს, მაგრამ, როგორც იცით, ეს არ არის იოლი და იაფი „სიამოვნება“. თავად მოსწავლეთა მხრიდან კი, საკმაოდ დიდი მოლოდინი, მაღალია მათი მოტივაცია. ინტერნეტით ერთვებიან პროცესში ბუკებით, სმარტფონებით და ა.შ. ბავშვებთან, რომლებსაც არც ამის საშუალება აქვთ, მასწავლებლები ცდილობენ კომუნიკაციის სხვა არხების გამოყენებას. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, დისტანციური სწავლების ერთ-ერთი პრობლემა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, პედაგოგთა დიდი ნაწილის დაბალი ციფრული უნარებია. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა სახლი,

ნების განმავლობაში, ატარებს ტრენინგებს ტექნოლოგიების მიმართულებით, ამ მხრივ, სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არა გვაქვს. აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შექმნილია ქვეპროგრამის „ახალი სკოლის მოდელი“ ტექნოლოგიების ექსპერტთა საკმაოდ კვალიფიციური გუნდი, რომლის წევრებიც მზად ვართ, მოხალისეობრივად დავეხმაროთ სკოლებს Office 365-ის, კერძოდ კი Teams-ის დანერგვაში. აღნიშნულ პროექტში მონაწილე სკოლებში ამ ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენების გამოცდილება უკვე საკმაოდ დაგროვდა, შესაბამისად, ისინი, ასე თუ ისე, შეუდგენენ კიდევ საქმეს. ზუსტად იგივე იგეგმებოდა, მომავალში, სხვა სკოლებშიც, თუმცა მოცემულმა სიტუაციამ აიძულა მასწავლებლები დროის მოკლე მონაკვეთში დაუფლებოდნენ დისტანციური სწავლებისათვის საჭირო ტექნიკურ უნარებს, ეს კი არც თუ ისე იოლია.“

მომზადდა ლალი ჯეჯეძე

მოსწავლეები ონლაინ სწავლებაზე - გამოკითხვა

ერთი მიწისი ის არის, რომ ძალიან მენატრება სკოლა

ლალი თვალაზიშვილი

დისტანციური სწავლების პროცესი ბევრ სკოლაში (უმეტესად - კერძო სკოლებში) უკვე მიმდინარეობს. ბავშვები ონლაინ რეჟიმში მეცადინეობენ და მათი დამოკიდებულება სწავლების ამ მეთოდის მიმართ არაერთგვაროვანია. თუმცა, ყველას მოსწონს ბევრი თავისუფალი დრო. ანასტასია ერთ-ერთი კერძო სკოლის მეთერთმეტეკლასელია, მას ყველა საგანში უტარდება ონლაინ გაკვეთილები (დღეში - ორი), სამი დღის მონაცვლებით, რეგულარულად იღებს დავალებებს. დისტანციური სწავლების პლუსად, პირველ რიგში, იმას ასახელებს, რომ დილით ადრე ადგომა არ უნევს, სკოლაში რომ არ დააგვიანდეს და გამოძინების საშუალება აქვს. „ასევე, შესაძლებლობა მაქვს, სწავლის პროცესში კომფორტულად ვიყო (ვჭამო, წამოვწვე და ა.შ.), ანუ სტრესი ბევრად ნაკლებია. რაც შეეხება მინუსებს - კლასში მონაწილეობა უფრო რთულია/შემცირებულია, გაკვეთილები მერე დარჩენა და გაუგებარი მასალის გარკვევა არ გამოდის. დისტანციური სწავლება, ჩემ შემთხვევაში, მუშაობს, ანუ ჩემს კლასში ყველა მონდომებულია, რომ იმუშაოს და ვმუშაობთ კიდევ, ყველა ხელს უწყობთ ერთმანეთს. მაგრამ ისეთი სკოლებისთვის, სადაც ბავშვები არ არიან მოტივირებული (ბევრია ასეთი სკოლა), ვფიქრობ, არ იმუშავებს და არც მუშაობს.“ დისტანციური სწავლება უფრო ეფექტურად და სწრაფად კერძო სკოლებმა დაიწყეს, ისინი გაცილებით უკეთ მომზადებული შეხვდნენ ახალ გამოწვევას როგორც ტექნიკური მზადყოფნითა და პედაგოგთა კვალიფიკაციით, ასევე მოსწავლეების უნარ-ჩვევებით, სრულყოფილად მართონ ონლაინ პროცესები. სანდრო მეთოთეკლასელია, დანაწესებითი საფეხურის მოსწავლე, მის სკოლაში დისტანციურ სწავლებაზე არდადეგების გამოცხადებისთანავე გადავიდნენ, ჯერ დავალებებს ასრულებდნენ, შემდეგ კი ონლაინ გაკვეთილები დაეწყო. „დისტანციურ სწავლებაში მომწონს ონლაინ გაკვეთილები და პლუს ის, რომ ონლაინ გაკვეთილებში მასწავლებელი ვერ გხედავს და შეგიძლია იცულო უფრო, შეგიძლია სათამაშო აილო ჩუმად ქვევით და ითამაშო ჩუმად. ის არ მომწონს, რომ ზოგჯერ ონლაინ გაკ-

ვეთილები ჭედავს და რთულია გაგება, რისი თქმა უნდათ მასწავლებლებს. კიდევ ერთი მიწისი ის არის, რომ ძალიან მენატრება სკოლა და ძალიან მომეწონება დერეფნები, კლასი, მასწავლებლები, კლასელები... მომწონს ის, რომ დიდი ვადებია დავალეებებს შორის და შეგიძლია კარგად გადაანაწილო დრო, შეზღუდული არ გავს დრო. თავისუფალი დროც მეტი გავს და შეგიძლია, აკეთო რაც გინდა ის, სანამ დავალები გაკვეთების დრო არ მოვა. მომწონს ასევე ის, რომ კომპიუტერთან მუშაობა მინევს.“ - ამბობს სანდრო. არიან ისეთებიც, ვისაც დისტანციური სწავლება არ მოსწონს და მათაც საკუთარი არგუმენტები აქვთ: ნანიკო, მე-9 კლასი: „მე თავიდანვე დისტანციურად სწავლების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან არ მიმაჩნდა, რომ რაიმე შედეგი ექნებოდა. პირველ რიგში, ვერ ვხვდებოდი როგორი პრინციპებით იქნებოდა სწავლება, თან თუ გაკვეთილები ვაღიარებ, რომ სასწავლო წლის ბოლოს 2 გამოცდა მაქვს (ან შეიძლება უკვე აღარ) ჩასაბარებელი, მით უმეტეს, საჭირო იყო ჩემთვის მასწავლებლებთან კვირაში 5-ჯერ მომზადება. ახლა დისტანციურად ვმუშაობ მაინც ამ გამოცდაზე (გერმანული, მათემატიკა). მათემატიკის მასწავლებელმა შექმნა სპეციალური ბლოგი, სადაც დავალებებს დებს და ჩვენ უნდა შევასრულოთ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დავალებებს გვაძლევს, მარტის 2 კვირა უკვე დავკარგეთ, დასვენებების გამო, მე-9 კლასში პროგრამა კი ძალიან რთულია და ძალიან ბევრი მასალაა, რომლის გავლა, მით უმეტეს დისტანციურად, ძალიან რთულია. გერმანულის მასწავლებელთანაც იმავე პრინციპით ვმუშაობ, დავალებებს გვაძლევს, ჩვენ ვასრულებთ და სპეციალურ აპლიკაციაში ვაქვეყნებთ ან მეილზე ვუგზავნი. ამ ტიპის დისტანციურ სწავლებას კიდევ არა უშავს, მაგრამ ეს ვიდუო გაკვეთილები არ მომწონს, მართალია უკვე დავკარგეთ, თუ მოვლავლავ და მასწავლებელი ესწრებიან, რადგან ძალიან რთულია, ვიდუო გაკვეთილით ერთმა მასწავლებელმა მთელი კლასის აუხსნას რაიმე სახის მასალა, განსაკუთრებით თუ ეს მათემატიკის, ქიმიის ან ფიზიკის გაკვეთილებს ეხება. რა თქმა უნდა, დისტანციური სწავლებას კარგი მხარეებიც აქვს. პირველ რიგში, კარგია ის, რომ ასეთ ვითარებაში, რაიმე სახის



საშუალება მაინც გვაქვს, რომ ვისწავლოთ, ასევე, სახლიდან მუშაობის ძალიან კარგი საშუალებაა და ზოგისთვის შეიძლება ასეთი ტიპის სწავლება მისაღები იყოს. თუმცა, მე მაინც ვთვლი, რომ როდესაც ამდენი ხანი სკოლაში სწავლობ და უცხად გინევს, რომ დისტანციურად ისწავლო, ძალიან რთულია და არამომგებიანი.“ საბა, მეთოთეკლასელი: „ჩემი აზრით, დისტანციური სწავლა შედეგი არ ექნება. მე ვგულისხმობ ვიდუო გაკვეთილებს, რადგან სწავლების ამ ფორმის გამოყენებით, შეუძლებელია დავალების შემოწმება, დამოუკიდებელი საშუალოს ჩატარება და, ასევე, მოსწავლეების ყურადღების მიპყრობა. უკეთეს სწავლების ხერხად მივიჩნევ, უბრალოდ, დავალებებისა და რაიმე მასალების მოცემას, რათა მოსწავლეები არ მოდუნდნენ და განვლილი მასალა არ დაავიწყდეთ. ონლაინ გაკვეთილის ჩატარება კი, იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ამას კლასის უმრავლესობა მოითხოვს, მაგალითად, როდესაც მოსწავლეები რაიმე საკითხს ვერ გაიგებენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ონლაინ სწავლების საუკეთესო გზა მასალების გადმოგზავნა და მოსწავლეებთან კომუნიკაციაა, მაგრამ არა ონლაინ გაკვეთილი, რადგან სწავლების ეს ფორმა კლასში მუშაობას ვერ ჩაანაცვლებს.“ ეხედავთ, რომ არაერთგვაროვანია მოსწავლეების დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ, ეს იმ სკოლებში, სადაც პროცესი უკვე დაიწყო. ბევრ სკოლაში და, სამწუხაროდ, ბევრ რეგიონში ონლაინ სწავლებაზე, ჯერჯერობით, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ ხარვეზის შესავსებად, განათლების სამინისტ-

რო, საქართველოს პირველ არხთან ერთად, 30 მარტიდან, იწყებს პროექტს „ტელესკოლა“, რომლის ფარგლებში, ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, შესაძლებლობა ექნება, აქტიურად ჩაერთოს პროგრამაში და მოისმინოს საინტერესო გაკვეთილები ყველა საგანში. კვალიფიციური პედაგოგები ჩაატარებენ გაკვეთილებს, ასევე, აბიტურიენტებსაც გაუწევენ კონსულტაციებს, ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, ამისთვის „აბიტურიენტის საათი“ დაინიშნება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ცალკე საგაკვეთილო ბაღე მომზადდება, სადაც ისინი ქართულ ენას შეისწავლიან. ტელეგაკვეთილების საშუალებით მათ მშობლიურ ენაშიც ჩაუტარდებათ მეცადინეობა, უახლოეს მომავალში, სხვა საგნებზეც დაემატება. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია სსმ მოსწავლეების საჭიროებები. ყველა გაკვეთილს შესტური ენის თარჯიმანი თარგმნის. რაც მთავარია, ითქვას, რომ „ტელესკოლა“ კრიზისის დაძლევის შემდეგაც გაგრძელდება. „ტელესკოლის“ ერთ-ერთმა პედაგოგმა, გაი მურულუიამ, თავის ფეისბუქგვერდზე, ეს პროექტი ასე შეაფასა: „ტელესკოლა“ - ადგილი, სადაც სკოლას ოთახი მთელი საქართველოა!“ რამდენად წარმატებულად იმუშავებს პროექტი, ამას დრო გვიჩვენებს, დღეს, მთავარია, რომ პროცესი დაიწყო, რადგან უძრავობას ყოველთვის მოძრაობა სჯობს.

რა მასტურია მზით სავსე ღლე... მაგრამ სისოცხლეზე უფრო ძვირფასი სხვა რამ არსებობს სამყაროში?!

ნინო აბულაძე
თბილისის №43 საჯარო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი,
„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2017 წლის“
ფინალისტი



პიხვედ ხიგში, ყველას ვეტყვი, #დაჩრითსახლში და ერთად ვითქიმთ, ხოგოხ შევემსებუქით ერთმანეთს ღლეს იმ ხელოვნდაციების შესხელება, ხომელიც ხვად ჩვენ მოგვცემს საშეალებას, გადავაჩინოთ ერთმანეთი. აქვე გეტყვით იმას, ხასაც მედამ ვეუბნები ჩემს მოსწავლეებს – მოღით, ვისწავლოთ შეცდომებზე, გავიზიაროთ სხვისი გამოცდილება, ჯახგად გავანაღიზოთ შექმნილი საფხითხე და დავთქიქდეთ – ჩვენი ღლეუანდელი სახლში ყოფნით ხამდენ ადამიანს დავიცავთ იმ საშიშიყოებისაგან, ხაც უხილავ მტეხს ჰგავს – ყველაზე ეფექტუხი სხნა სოციალუხი დისტანცია და სახლში დახჩენა.

მესმის, ხა ძნელია მხოლოდ აივნიდან, ფანჯრიდან გაზაფხულის სეხნელის შეგხდნება. გასაგებია, ხა მაცდელია მზით სავსე ღლე; ისიც ნახმოიღგენია, ხოგოხ ეჯამათებით უხილავ მტეხს (ქადბატონს ან ბატონს) ჯოხოწავიხუს, ხომელმაც საზღვხები შემოგონხაზათ. ამიკომ, მოღით, ერთად ვითქიქოთ, ხოგოხ შემოვიყვანოთ გაზაფხული ჩვენს სახლებში.

ადამიანებს ღლეს უჭიოთ ხეაღუად გაიზიაროთ საშიშიყოება; ეს სომ ბევხი ჰომბდემასთან ახის დავაუშოხებელი?! მაგხამ განა სიცოცხლეზე უფო ძვირფასი სხვა ხამ ახსებობს სამყახოში?! ღლეს ჯი, ჩვენ ამ ქვეყნის ის ჯახიხაყებუ ვახით, ვიხუს ნინ ხომ გადაედგება სახლში იზოლაციით და თავისუფლად სტუმოხობის უფლებას ხომ ახ მისცემს ჯოხოწავიხუს!

აბა, ნახმოიღგენეთ ხა ბენიეხებაა, განვმახოვდეთ ოჯახის ნეხებთან ერთად ჩვენს მყედო ბინებში და ვითქიქოთ იმ იღების განხოცილებაზე, გუშინ დოოს ახქონის გამო ხომ ვეხ ვახოცილებდით?!
მოღით, გავისხენოთ, ხამდენჯეხ გვითამაშია ბინაში, თენ-

დაც მაგიდის ქვეშ მოწყობილ სამეფოში, მოგვიხგია ხოლები სხვადასხვა გმიხებისა. საიდან ჩნდებოდნენ გმიხები? ჩვენი ნიგნებიდან, ფილმებიდან, მოყოლილი ზღაპხებიდან, ანიმაციებიდან.

გადმოვადგოთ ის ნიგნები, ხომლებსაც ერთად ნაიქითხავთ, მოვიმახაგოთ ფეხადი ფანჯხები და სახატავი ფეხცლები, ხომლის დახმახებითაც ფეხებში ერთად გააცოცხლებთ თქვენს ნახმოღგენებს. ახ გამოგოვათ, მეხე ხა, ერთად იხაღისებთ. დადგით საოჯახო სპეეკაქებუ; ჩახითეთ ყველა ოჯახის ნეხი – გააცოცხლეთ ისტოიული მოვლენები, იმოგზაუხეთ უცხო ქვეყნებში.

ხამდენი საინტეხესო ფილმია?! უყუხეთ, ისაუბხეთ, იმსჯელეთ – ეს სომ უჯვე ანაღიტიეხი აზოხვნებაა!

მე სახლში ვახ, ვფიქოთ თქვენზე, ვანყო სანწავლო ხესეხებს, ვატახებ ონღინ გაქვეთილებს, ვაითხებობ ბევხს, ვმეყადინებოთ უცხო ენაში, ვეცნობი ინფოხმაციას, ბევხს ვსაუბხობ ოჯახის ნეხებთან, ყველას მოვიუთხავ შოხიდან, ვიცავ დისტანციას, აივნიდან ვესაუბხები გაზაფხულს და შემომყავს მზიანი ღლები და იმელი ჩემს ცხოვხებაშიც. ვფიქოთ ხვადინდელ ღლებზე და ვებხძვი მონაყეხებას. მე ვიცო, თუ ღლეს ჩვენ შევასხელებთ იმ ხელოვნდაციებს, ხომელსაც ყოველ ღლე ვისმენთ ტელეახებებიდან, აუცილებლად შევძლებთ უხილავი მტეხის დამახცებას.

#დაჩრითსახლში თქვენც; #ესეუგაივლის!

თქვენი ნინო მასწავლებელი

„ტელესკოლა“ ეთნიკური უმცირესობებისთვის რამდენიმე საბანს ამატებს

⇒ 13 აპრილდან, ეთნიკუხი უმციხესობების მოსწავლეებისთვის, სომხეხ და აზეხბაიჯანელ ენებზე, მათემატიკის, ბუნების, ბოლოგოის, ასევე სომხეხისა და აზეხბაიჯანელის, ხოგოხე მშობელიეხი ენების, ტელეგაქვეთილები დაინყება.

⇒ სატელევიზიო გაქვეთილები განეუთვნელი იქნება ყველა ეღასის მოსწავლისთვის. ამასთანავე მნიშვნელივანია, ხომ აბიეტუხიენტებისთვის ზოგადი ენახების ტელეგაქვეთილები ჩატახდება.

